გაზაფხული

დღეს მერცხალი შემოფრინდა, დ
ჭიკჭიკითა გადმომძახა:
ნგაზაფხული! გაზაფხული!ნ
გულს იმედი დამესახა.

მივდექ სარკმელს, გადვიხედე,
არემარე მესხვაფერა! დ
სასოებამ ფრთა გაშალა,
გულსა მკრა და ამიძგერა!

სუნი მეცა გაზაფხული,
უცნაური ვიგრძენ ძალი...
ვსთქვი, თფუ: ნგულსა რაღად ვიტეხ?
ახლოს არის მომავალი!

ნმოვესწრები, რაც მინდოდა
ზამთრისაგან დაჩაგრულსა:
ვნახავ ქორწილს ბუნებისას,
გავიგონებ მის მაყრულსა.

ნდავყნოს ვარდსა გადაშლილსა,
ვუჭვრეტ ნაზად დახრილ იას
და ბულბულიც გამაგონებს
მისებურად ნტია, ტიას!ნ

1881 წ.